ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N56

ქ.თბილისი

23 მაისი, 2025 წელი
14[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი ახვლედიანი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე

ლევან არველაძე

მარიამ გელაშვილი

ოთარ გრიგოლია

ლევან დავითაშვილი

ნინო ვარდოსანიძე

კონსტანტინე ზარნაძე

მარიამ ზაქარიაშვილი

ანა კაკაბაძე

მიხეილ კაკაურიძე

ნიკოლოზ კახეთელიძე

ანა კილაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

ნათია მოდებაძე

შალვა ოგბაიძე

ვიტალი ონიანი

გურამ ოქროპირიძე

ნინო რუხაძე

თამარ ჩახვაშვილი

ზურაბ ჩიკვილაძე

გივი ჩხარტიშვილი

ალექსანდრე ხუჯაძე

ლევან ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი ვლადიმერ ჭიღლაძე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე წარდგენილი კანდიდატი გიორგი ტყემალაძე.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა და აღნიშნა, რომ სურს მადლიერება გამოხატოს გიორგი ტყემალაძის მიმართ, რომელთან ერთად მუშაობა მისთვის დიდი პატივი იყო. აქვე აღნიშნა, რომ გიორგი ტყემალაძე, წლების განმავლობაში, ღირსეულად და პროფესიონალურად უძღვებოდა საკრებულოს, ხოლო დღეიდან ძალიან რთული და საპასუხისმგებლო სამსახური ელოდება და წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში.

ოთარ გრიგოლიამ, საკრებულოს უმრავლესობის სახელით, მადლობა გადაუხადა გიორგი ტყემალაძეს წლების განმავლობაში საკრებულოში გაწეული საქმიანობისთვის და მიმართა მას: „თქვენ ხართ ამ ინსტიტუტის ცოცხალი მეხსიერება და ძალიან ბევრი რამ, რაც გაკეთდა ამ ინსტიტუტის გაძლიერების მიმართულებით, თქვენი დამსახურებაა. მე, როგორც მეგობარს, კოლეგას, მინდა წარმატებები გისურვოთ და გავიხარო, რომ ჩვენი ქალაქიდან შორს არ მიდიხართ და აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადადიხართ, რაც კიდევ უფრო მეტის იმედს მაძლევს“.

გიორგი ტყემალაძემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს, საკრებულოს აპარატს და აღნიშნა, რომ მრავალი წელი მოუწია საკრებულოში საქმიანობა, რაც დიდი პატივი და პასუხისმგებლობაა. მისი თქმით, მნიშვნელოვანია, რომ არ მიდის თვითმმართველობიდან, რჩება ქალაქის სამსახურში და ახალი თანამდებობა მისცემს კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას, რომ, საკრებულოს წევრებთან ერთად, ერთგულად ემსახუროს ქალაქს. საუბრის ბოლოს, წარმატებები უსურვა საკრებულოს მომავალ თავმჯდომარეს და კიდევ ერთხელ გადაუხადა მადლობა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ტყემალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ახვლედიანი

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ახვლედიანი

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხსენებელი: საკრებულოს თავმჯდომარე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ტყემალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა და აღნიშნა, რომ 2025 წლის 21 მაისს, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, პირადი განცხადებით, დატოვა დაკავებული თანამდებობა და მოიხსნა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება. აქვე აღნიშნა, რომ გიორგი ტყემალაძეს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღიდან.

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის გიორგი ტყემალაძის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ“ საკითხი ცნობად იქნა მიღებული.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელმა გიორგი ახვლედიანმა და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარდგენილია მხოლოდ ზურაბ აბაშიძის კანდიდატურა (წარდგინება ოქმს თან ერთვის).

ოთარ გრიგოლიამ განაცხადა, რომ ყველასთვის ცნობილია, თუ ვინ არის ზურაბ აბაშიძე, რომელსაც აქვს როგორც მუნიციპალიტეტში, ასევე, საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობის გამოცდილება. მისი თქმით, ზურაბ აბაშიძე არის „დამსახურებული პოლიტიკოსი, ადამიანი, რომელსაც გუნდი ენდობა“ და მისი საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე არჩევა იქნება გიორგი ტყემალაძის წასვლის შემამსუბუქებელი გარემოება. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა ზურაბ აბაშიძეს დღემდე გაწეული საქმიანობისთვის და აღნიშნა, რომ მთელი გუნდი მხარს უჭერს მის კანდიდატურას.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ზურაბ აბაშიძე არის გამოცდილი და პროფესიონალი პოლიტიკოსი, რომელიც იქნება ღირსეული თავმჯდომარე და წარმატებები უსურვა მას.

გიორგი ახვლედიანმა მიმართა ზურაბ აბაშიძეს, არის თუ არა თანახმა კენჭი იყაროს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე. ზურაბ აბაშიძის თანხმობის შემდეგ, გიორგი ახვლედიანმა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ზურაბ აბაშიძის არჩევის შესახებ“ საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს მხარდაჭერისთვის. მან, ასევე, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, ბიძინა ივანიშვილს, ირაკლი კობახიძეს, კახა კალაძეს და გიორგი ტყემალაძეს გამოცხადებული ნდობისთვის. აქვე აღნიშნა, რომ თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობა არის ძალიან საპატიო თანამდებობა და ყველანაირად ეცდება, რომ, საკრებულოს წევრებთან ერთად, გააგრძელოს დედაქალაქის და მისი მოსახლეობის საკეთილდღეო საქმიანობა.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 2 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელს

ბატონ გიორგი ახვლედიანს

წარდგინება

ბატონო გიორგი,

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებობაზე წარმოგიდგენთ ზურაბ აბაშიძის კანდიდატურას.

წარდგინებას ხელს აწერენ ფრაქციის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ წევრები: